



პროდუქტის მწარმოებლის

პასუხისმგებლობის დაზღვევის

პირობები / ხელშეკრულება N PL /NSA/01-20

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები



**პროდუქტის მწარმოებლის
პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები / ხელშეკრულება N PL /NSA/01-20**

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

წინამდებარე დოკუმენტი - ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ; დაზღვევის შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობებში / ხელშეკრულებაში N PL /NSA/01-20 (შემდგომში - ხელშეკრულება) და სადაზღვევო პოლისში; ხელშეკრულება, სადაზღვევო პოლისი და ყველა შესაბამისი დანართი წარმოადგენს ხელშეკრულებას მხარეთა შორის.

1. მზღვეველი - სს “ნიუ ვიჟენ დაზღვევა“;
2. დაზღვევის ხელშეკრულების სახე – პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა;
3. დაზღვეული რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები: დამზღვევის მიერ მის სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ზე მოყვანილი/წარმოებული და მიწოდებული სასოფლო სამეურნეო კულტურის/პროდუქტის შედეგად დამდგარი მატერიალური ზიანი, კერძოდ მესამე პირის:
 - სიცოცხლის მიმართ მიყენებული ზიანი - დაზარალებულის გარდაცვალება;
 - ჯანმრთელობის მიმართ მიყენებული ზიანი.
4. ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები - აღნიშნული დაზღვევა ფრანშიზას არ ითვალისწინებს.
5. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: განსაზღვრულია სადაზღვევო პოლისით;
6. სადაზღვევო პერიოდი: განსაზღვრულია სადაზღვევო პოლისით;
7. სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობებისგან;
8. სადაზღვევო თანხის ოდენობა: განსაზღვრულია სადაზღვევო პოლისით;
9. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის შეტყობინების გაგზავნის წესი მოცემულია ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1 და 11.2 პუნქტებში;
10. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მიზნით მოთხოვნის წარდგენის წესი მოცემულია ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.3 პუნქტში;
11. სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების შესახებ დეტალური პროცედურები მოცემულია ხელშეკრულების მე-11 და მე-12 მუხლებში;
12. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხი დარეგულირებულია ხელშეკრულების მე-12 მუხლით;
13. დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს:
 - სრული, ამომწურავი, სწორი და ნამდვილი ინფორმაცია დაზღვევის რისკების შესახებ;
 - დაზღვევის მიზნით შესავსებ განაცხადში მიუთითოს სწორი და სრული ინფორმაცია;
 - ინფორმაცია ორმაგი დაზღვევის არსებობის შესახებ;
 - სრული და სწორი ინფორმაცია სადაზღვევო რისკების შესაძლო გაზრდის ან/და ასეთი საფრთხის წარმოშობის/სავარაუდო წარმოშობის შესახებ;
 - სრული და სწორი ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
 - სხვა ინფორმაცია, რომლის მიწოდების ვალდებულებაც ეკისრება დამზღვევს ხელშეკრულების შესაბამისად;

დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ზამთარდნიშნული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა მზღვეველის მიერ სრულყოფილი სადაზღვევო მომსახურების განწვივის მიზნით; დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებლობის ან/და არასრული სახით მიწოდების ან/და მსდარი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურებაზე;

14. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები: დაზღვევის ხელშეკრულების/პოლისის ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;
- სადაზღვევო ინტერესის შეწყვეტა;
- მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების შედეგად სადაზღვევო თანხის (ლიმიტი) ამოწურვა;
- მხარის ინიციატივა, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წინასწარი, ხელშეკრულების შეწყვეტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;
- დამზღვევმა განზრახ გამოიწვია რისკის ზრდა ან დროულად არ შეატყობინა მზღვეველს რისკის ზრდის შესახებ;
- მხარის ინიციატივა, თუ მეორე მხარე არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და, შეწყვეტის შესახებ გაფრთხილებისა და არანაკლებ ერთთვიანი დამატებითი ვადის მიცემის მიუხედავად, არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას;
- დაირღვა ხელშეკრულებით განსაზღვრული (პოლისში მითითებული) სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვლისწინებულ სხვა შემთხვევაში.

15. დაზღვევის გამონაკლისი პირობები (შემთხვევები, რაც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით) განსაზღვრულია ხელშეკრულების მე-4 მუხლით :

სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება და არ ანაზღაურდება თუ მოთხოვნა:

- წარმოიქმნა, ეფუძნება ან უკავშირდება ნებისმიერ არაკანონიერ ქმედებას, რომელიც ფაქტობრივად, მტკიცებულების მიხედვით ჩადენილია საქართველოს ფარგლებს გარეთ, ან დამზღვევის ნებისმიერ ქმედებას საქართველოს ფარგლებს გარეთ, ან ნებისმიერ მოთხოვნას, რომელიც წარდგენილია, დაწყებული ან გრძელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- წარმოიქმნა საქართველოს ფარგლებს გარეთ სასამართლოში წარდგენილ ზარალთან ან ზიანთან დაკავშირებით;
- წარმოიქმნა იმ საქმიანობების ზარალის ან ზიანის შედეგად, რომელთა მიმართ გამორიცხებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი კანონმდებლობა;
- ეფუძნება დამზღვევის მიმართ დაკისრებულ ნებისმიერ ჯარმას ან საურავს;
- გამოწვეულია, ან წარმოიქმნა ომის, შემოჭრის, ან საომარი მოქმედებების (მიუხედავად იმისა, იყო თუ არა გამოცხადებული ომი), და/ან სამოქალაქო ომის, ამბოხების, სახალხო მღელვარების შედეგად, რომელიც ითვალისწინებს ან მოიცავს სახალხო, სამხედრო გამოსვლებს, ამბოხს, აჯანყებას, რევოლუციას, სამხედრო ან უზურპირებულ ძალაუფლებას;
- უკავშირდება დამზღვევის გაკოტრებას ან გადახდისუუნარობას;
- წარმოიქმნება იმ საწარმოს მიერ ან მიმართ ან მასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ნებისმიერი მოთხოვნის შედეგად, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეკუთვნის, კონტროლდება, ამუშავებს ან მართავს დამზღვევი;
- გაცხადებულია დამზღვევის (თუ დამზღვევი ფიზიკური პირია) მეუღლის/ნათესავების მიერ;
- გაცხადებულია დამზღვევის თანამშრომლების მიერ (თუ დამზღვევი იურიდიული პირია);
- წარმოიქმნება ზარალისგან ან ზიანისგან, რომელიც მიმართულია პირადად დამზღვევის ან დამზღვევის ქონების მიმართ;
- წარდგენილია დაკარგული მოგების/მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
- წარდგენილია ფიზიკური და მორალური ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
- წარმოიქმნება იმ საქმიანობების შედეგად, რომლებიც არ მიეკუთვნება დამზღვევის საქმიანობას;
- წარმოიქმნება დამზღვევის (მისი წარმომადგენლების) უკანონო ქმედებების, წესებისა და ინსტრუქციების დარღვევის შემთხვევაში;

- მომხმარებელი (მესამე პირი) არღვევს მწარმოებლის მიერ დადგენილ პროდუქციის უსაფრთხო გამოყენების, შენახვის და ტრანსპორტირების წესებს.
- წარმოიქმნა მომხმარებლის მიერ პროდუქციის არადანიშნულად გამოყენებით;
- ზიანის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენების შედეგად;
- ზარალი წარმოქმნილია პროდუქტის ან მისი ნაწილების დაზიანებით;
- წარმოიქმნება დაზიანებული პროდუქციის ჩანაცვლების ან აღდგენით ხარჯაბზე;
- წარმოიქმნა პროდუქციის ან მისი ნაწილის უკან დაბრუნების ხარჯაბზე.
- ნებისმიერი შემთხვევას, როცა დამზღვევის მხრიდან აღილი ჰქონდა დაზღვევის ხელშეკრულების პირობების (მათ შორის სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის) დარღვევას.
- ნებისმიერ არაკირდაპირ ზიანს გამომწვეულ დაზღვეული რისკების შედეგად.
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებს.

16. დაზღვეულთა პრეტენზიების განხილვა.

16.1. მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებისა და განხილვის პროცედურის“ შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ელექტრონული სახით შემდეგ მისამართზე www.nvi.ge. დამზღვევის/დაზღვეულის პრეტენზია წარედგინება მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

- წერილობითი (მატერიალური) ფორმით გამოხატული პრეტენზია წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების სახით მომხმარებლის საკომუნიკაციო საშუალებების (ტელეფონი, ელ-ფოსტა) მითითებით, მზღვეველის მისამართზე ქ. თბილისი, ე. მიქელაძის 1ბ; პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- ელექტრონული ფორმით გამოხატული პრეტენზია, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების ელექტრონული ვერსიის ან სხვა არასტანდარტული განცხადების ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – insurance@nvi.ge. პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- ბეპირსიტყვიერი ფორმით გამოხატული პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნას მზღვეველის საინფორმაციო სამსახურში პრეტენზიის დაფიქსირებით. პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

16.2. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები მორიგების მიზნით მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2 555 155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge ან მისამართზე: თბილისი, მოსაშვილის ქუჩა 24;

16.3. დამზღვევი უფლებამოსილია, ასევე, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ბედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: +995 32 223 44 10.